

17/08/18



19 02 18
01/2953

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№29 2018 წლის 19 თებერვალი ქ.თბილისი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ 2017 წლის 28 ნოემბერს გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 5 000 (ხუთი ათასი) ევროს ეკვივალენტი ლარი.

გიორგი კვირიკაშვილი

